ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური)

ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების სკოლა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) Georgian as a Second/Foreign Language Teacher Training Educational Program (for Primary/Lower/Upper Secondary School)
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	დამოუკიდებლად არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამის დასრულების სერთიფიკატი	მასწავლებლის მომზადების სერთიფიკატი ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) Teacher Training Certificate Georgian as a Second / Foreign Language Teacher Training Educational Program (for Primary/Lower/Upper Secondary School)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი	მარიამ რამინაშვილი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია:

ა) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული, შესაბამისი საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ფორმა და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია აპლიკანტებისთვის და განთავსებულია უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალურ ვებ - გვერდზე.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა

პროგრამის ხანგრძლივობა გათვლილია 2 სემესტრზე (ერთ აკადემიურ წელზე), თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა 19 კვირაა. პროგრამა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისათვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს ერთი აკადემიური წლის, ანუ 2 სემესტრის განმავლობაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 60 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა დამატებითი სემესტრის/სემესტრების განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის სერტიფიკატი (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური).

ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) საბოლოო შედეგები მიიღწევა პროგრამით გაწერილი სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა შედგენილია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია ბოლონიის პროცესით დეკლარირებულ მოთხოვნებზე და აკუმულირდება სწავლების ხარისხის შეფასებების კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტულობაზე. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში განსაზღვრული მასწავლებლის დასაქმების ბაზრის მოთხოვ-ნათა გათვალისწინებით, ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადება მიმ-დინარეობს ზოგადი პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის, საგნობრივი მეთოდიკისა და სასკოლო

პრაქტიკის კომპონენტების მეშვეობით. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმ-დევრობა განსაზღვრავს ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) შინაარსს, მის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში.

ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) მოიცავს 60 კრედიტს. ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 38 კვირას, ერთი სემესტრი 19 კვირას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება დასრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან.
ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის სტუდენტს ესაჭიროება პროგრამის სასწავლო კურსებიდან გაიაროს:
ზოგადი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სასწავლო კურსები *(ჩაშენებული სასკოლო პრაქტიკით, სავალდებულო მოდული ყველა მიმართულებისთვის)* - 25 კრედიტი;
შესაბამისი მიმართულების საგნის სწავლების მეთოდიკის სასწავლო კურსები (2 კრედიტი ჩაშენებული პრაქტიკით) - 27 კრედიტი (მათ შორის ყველა სავალდებულო კურსი);
სასკოლო პრაქტიკის მოდულიდან - 8 კრედიტი (სასკოლო პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი);

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ ამოცანებთან

მისიის შესაბამისად ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია უმაღლესი და საშუალო რგოლის სისტემურად და სტრატეგიულად მოაზროვნე სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებსაც მუდმივად ცვალებად გარემოში ექნებათ ეფექტური მართვისა და განვითარების უნარი.

თბილისის თავისუფალი აკადემიის მისიაა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია, სწავლისა და სწავლების, უწყვეტი განათლების, ინდივიდის პიროვნული, პროფესიული და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. აკადემია ორიენტირებულია მოამზადოს შრომის ბაზრისათვის ფუნდამენტური ღირებულებებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრები.

ხედვა - თბილისის თავისუფალი აკადემია ქმნის აკადემიური თავისუფლების პრიმატს, რომელიც

უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრესს. იგი ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვასა და ინოვაციურ გარემოში ჩართულობის პროცესს. აკადემია თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით ორიენტირებულია განათლების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციაზე, სოციალიზაციის პროცესზე. აკადემიის უმთავრესი ხედვაა განათლების ხარისხის მუდმივი ამაღლების პოლიტიკის შემუშავება და მართვის თანამედროვე მეთოდების ფართო გამოყენება.

ღირებულებები

ღიაობა

- პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობის პროცესს სხვადასხვა ღონისძიებში, პროექტებსა თუ კონფერენციებში აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალის თანამონაწილეობით.

ჩართულობა

- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) განმახორციელებლებისა და სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩართულობა და განხორციელებული ერთობლივი აქტივობები, რომლებიც თავისთავად განაპირობებს სტუდენტთა მომავლის რაციონალურად დაგეგას.

ინტერნაციონალიზაცია

უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირება და თანამშრომლობა.

პროგრესულობა

- ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) უზრუნველყოფს საფუძვლიან განათლებას, რომელიც პასუხობს დამსაქმებელთა მოთხოვნებს კონკრეტული დარგობრივი კომპეტენციებისათვის.

პროგრამის აქტუალობა

თავისუფალი აკადემია მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქვეუნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას განათლებაში - სასკოლო რეფორმას, რომლის მთავარი ამოცანაა მოხდეს მასწავლებელთა 21-ე საუკუნის გამოწვევებთან, თანამედროვეობის მოთხოვნებთან შესაბამისობა. აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აძლევს აკადემიას საშუალებას თანამედროვე გამოწვევევების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვებით ხელი შეუწყოს დასახული ამოცანების განხორციელებას.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) მიზანია:

- მოამზადოს საქართველოს განათლების მოქმედი კანონმდებლობის, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) მასწავლებელი;
- გამოუმუშავოს მასწავლებელს კრიტიკული აზროვნების უნარი, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევები, მოქალაქეობრივი შეგნება და დემოკრატიული ღირებულებები;
- შესთავაზოს მასწავლებელს საგნის სწავლებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, რომელიც ორიენტირებული იქნება უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე;
- დაეხმაროს მასწავლებელს გახდეს კონკურენტუნარიანი და სიახლეების მიმღები, რათა შეეძლოს უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის შედეგები და მიზნები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან, არის გაზომვადი და რეალისტური. სწავლის შედეგები ადეკვატურია და ითვალისწინებს ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებული დარგობრივი მახიასიათებელის მოთხოვნებს.

კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულმა:

- იაზრებს მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, წარმართვას და შეფასებას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმისა და მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით;
- აქვს პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ღრმა ცოდნა და ეფექტიანად იყენებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნისათვის;
- იცნობს კლასის მართვის სტრატეგიებს, აანალიზებს კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებსა და

რეაგირებს ადეკვატურად;

- შეუძლია მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად;
- ახდენს კლასგარეშე საქმიანობის დაგეგმვასა და წარმართვას მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- იდენტიფიცირებს სწავლა-სწავლების პროცესში დამხმარე რესურსებისა და ICT ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის;
- აცნობიერებს დემოკრატიული ფასეულობების, მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში პიროვნების სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში;
- აცნობიერებს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას და პროფესიული ეთიკის წესების მნიშვნელობას. ახდენს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ეფექტურ კომუნიკაციას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისა და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბების მიზნით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყებულია შემდეგი მეთოდოლოგია: ლექცია სრულად ეთმობა შესასწავლი სასწავლო კურსის თეორიულ ნაწილს, სადაც სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს ფართო თეორიული ცოდნა; გამოიყენება მშობლიურ და უცხო ენაზე არსებული ლიტერატურა და პუბლიკაციები. თეორიული მეცადინეობები ლექციის ფორმატში მიმდინარეობს ინტერაქტივის სახით. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური საშუალებები. პრაქტიკული მეცადინეობები გულისხმობს რიგი სამუშაოების შესრულებას, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: თემატური პრეზენტაციის მომზადება, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება, პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტივობა (გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით), ქეისის გარჩევა, ქვიზების შესრულება, ესეების მომზადება და სხვა. სტუდენტთა მიერ ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრეზენტაციების მომ-ზადება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია. კონკრეტული სასწავლო კურსის თავისებურებების გათვალისწინებით, სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს შეუძლია სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს

მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

- დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც ლექტორის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს;
- ინდუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ;
- დედუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს. ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;
- ანალიზის მეთოდი - გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
- სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ეს მეთოდი ხელს შეუწყობს ჯგუფის მაქსიმალურ ჩართულობას საკითხთა განხილვის პროცესში, სტუდენტის ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების, საკუთარი აზრის დასაბუთების და სხვათა აზრის პატივისცემის უნარს;
- პრეზენტაცია - მოიაზრებს სტუდენტთა დაკომპლექტებას შესაბამის ჯგუფებად. საპრეზენტაციო თემები სტუდენტებმა შესაძლებელია შეარჩიონ ლექტორის მითითებით ან დამოუკიდებლად და მოძიებული მასალის დამუშავების საფუძველზე დაიცვან საჯაროდ;
- ვერბალური პრეზენტაცია - მოიცავს თეორიული საკითხების ცოდნას, რომელიც ხორციელდება ნარატივის სახით ან შეკითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატში და მოიაზრებს გამოკითხვაში, დისკუსიაში მონაწილეობას. ვერბალური პრეზენტაცია ითვალისწინებს თეორიული საკითხების ცოდნის დემონტრაციასა და მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე;

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – არის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის პირობებში როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევების, ასევე თეორიული ცოდნის შეძენას.
- შემთხვევების შესწავლა (Case study) - სიტუაციური ანალიზის მეთოდია, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების/სიტუაციების გადაჭრის გზით ე.წ. „კეისების“ ამოხსნა. სწავლების მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. „კეისი“ წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისთვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ანვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს;
- ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება დასმული საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტას და სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებას. მეთოდი მოიაზრებს ეკონომიკის საგარეო სექტორის ამა თუ იმ მიმართულების განვითარების ამსახველი განმაზოგადებელი მაჩვენებელების გაანგარიშებას სტუდენტის მიერ, მოვლენების განვითარების კანონზომიერების დადგენას და დასკვნების გაკეთებას. შედეგები სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკულ მეცადინეობაზე და უნდა შეძლოს დისკუსიის წარმართვა აუდიტორიასთან;
- გონებრივი იერიში - მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას;
- ქვიზი - არის წერითი ნამუშევარი (განვლილი თემატიკის ფარგლებში თეორიული მასალის შემოწმება); ამ მეთოდით იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი შედგება თეორიული საკითხებისაგან.
- როლური თამაშები – წარმოადგენს სწავლების აქტიურ მეთოდს, რომელიც მიმართულია დიალოგური და მონოლოგური მეტყველების, მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. როლური თამაშების დროს ხდება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების, კლიშეების გამოყენება და მათი დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია მონაწილეებმა მეტი ცოდნა მიიღონ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;
- ესე - დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე - სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ეფექტური მეთოდია. მისი გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს

სტუდენტების მიერ აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბების, ეკონომიური ტერმინოლოგიით მეტყველების ჩვევების განვითარებას. ასევე ესე აჩვევს სტუდენტებს მაგალითების, ციტატების გამოყენებას, განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ესეს მიზანია სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას;

- სასემინარო მოხსენება - წარმოადგენს მეთოდს, რომელიც სტუდენტს უვითარებს საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროების დამოუკიდებლად მოძიების, მონაცემთა შეგროვებისა და განმარტების, პრობლემების გამოკვეთის, მათი გადაჭრის გზების წარმოჩენის, თეზისების დამუშავებისა და დასკვნების წარმოდგენის უნარ-ჩვევებს. სასემინარო მოხსენება ავლენს საკითხის ცოდნის დონეს და მასალის დამუშავების სიღრმეს;
- კომპლექსური დავალება/პრეზენტაცია - შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება; აღმოჩენებისა და სიახლის ძიების მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება; დროსა და სივრცეში ორიენტირებისთვის, ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციისა და კანონზომიერებების დადგენისთვის საჭირო სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარება;
- ჯგუფური პროექტი - სტუდენტთა ჯგუფის მიერ შესრულებული ორიგინალური ნამუშევარი, რომელშიც წარმოდგენილია რაიმე თემის მეთოდიკური დამუშავება. ნაშრომმა უნდა წარმოაჩინოს ავტორთა კომპეტენცია განხილული საკითხების ირგვლივ;
- ჩაშენებული პრაქტიკა - საშუალებას აძლევს პროგრამის მონაწილეს, მოახდინოს თეორიული ცოდნის ტრანსფერი რეალურ სასკოლო გარემოში. გულისხმობს პროგრამის მონაწილის ჩართვას როგორც პასიურ, ასევე აქტიურ სასკოლო პრაქტიკულ აქტივობებში;
- ელექტრონული სასწავლო რესურსის შექმნა - რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ შესწავლილი მასალის გახსენება-გამეორებას, ახსნილი მასალის განმტკიცებას, ტექსტების გააზრებას, დინამიკური და ტრანსფერული ცოდნის განვითარებას.
- ტესტი - წერილობითი ნამუშევარი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის დროს და სხვა.

შენიშვნა:

სასწავლო კურსების განმახორციელებელი ლექტორები სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით თავად განსაზღვრავენ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ სხვადასხვა მეთოდებს, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსებში.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებებს (შუალედურ გამოცდას და მიმდინარე სემესტრულ შეფასებას);
- დასკვნითი გამოცდას
- სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია
- დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად: პრაქტიკული აქტივობა და შუალედური გამოცდა, თითოეულს აქვს პროცენტული წილი შეფასების სისტემაში;

100 ბალიანი სისტემიდან შუა სემესტრულ კომპონენტებზე გადანაწილებულია 60 ქულა, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემესტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის განმახორციელებელი განსაზღვრავს სასწავლო კურსის სილაბუსში შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების შინაარსს, ხვედრით წილს, შეფასების კრიტერიუმებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება სილაბუსში ჰქონდეს შეფასების განსხვავებული კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სტუდენტის შეფასებისას წაყენებული აკადემიური მოთხოვნები:

სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კურსის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ა) საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - სასწავლო კურსის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს ამ წესით დადგენილ შემდეგ ოდენობებს:

შუალედური სემესტრული შეფასება- 31 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - 20 ქულა.

- სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდში ტარდება ერთი შუალედური გამოცდა - მაქსიმალური შეფასება 20 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 11 ქულა). პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისთვის შესაძლებელია განსხვავებული შეფასების დადგენა.

შუალედური შეფასება (მაქსიმუმ 60 ქულა) დაყოფილია კომპონენტებად:

- **აქტივობა** - სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, პროექტებისა და რეფერატის მომზადება-პრეზენტაცია, ქვიზი და სხვ. (კონკრეტდება სილაბუსებში)
- **შუალედური გამოვიდა (მაქსიმუმ 20 ქულა)** - (ფორმატი კონკრეტდება სილაბუსებში)

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი შესაბამის სილაბუსში.

თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შპს თბილისის თავისუფალი აკადემიაში დამტკიცებული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს, ის მოიხსნება სასწავლო კურსიდან და გაუფორმდება შეფასება "F", რაც ითვალისწინებს აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლას.

დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება "F"-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია განმეორებით შეისწავლოს სასწავლო კურსი. მას მხოლოდ აღნიშნულ სასწავლო კურსებში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში შეუძლია წინაპირობების გათვალისწინებით მასზე ბმული სასწავლო კურსების გავლა. "F"-ით შეფასებული სტუდენტი ერთი და იმავე საგნის განმეორებით შესწავლის

რაოდენობაში არ არის შეზღუდული.

სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასებად ჩაითვლება მისი ბოლო შედეგი; Fx შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არა ნაკლებ 5 დღეში; დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებად; დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგამნანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება F შეფასება.

სასკოლო პრაქტიკა: სასწავლო სასკოლო პრაქტიკა უმაღლესი სკოლის საგანამათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. პრაქტიკის მიზანია სტუდენტის მომზადება წარიმართოს სამი მიმართულებით - სასწავლო/საგაკვეთილო პროცესი, სასწავლო/აღმზრდელობითი პროცესი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესი. შესაბამისად, სასკოლო პრაქტიკის მიზანია სტუდენტმა პრაქტიკაში (გაკვეთილზე) გამოიყენოს სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა. მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფრაგლებში პრაქტიკა ორ ეტაპიანია. კერძოდ, ეს არის ჩაშენებული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების პროცესზე დაკვირვებას, ხოლო მეორე ეტაპზე პედაგოგიური პრაქტიკის კურსი ყველა მიმართულებით, სადაც სტუდენტები პრაქტიკაში გამოიყენებენ და დაადასტურებენ მეთოდიკური სასწავლო კურზებზე მიღებულ ცოდნას (დაგეგმავენ და ჩაატარებენ გაკვეთილებს, შექმნიან ელექტრონულ პორტფოლიოებს და დაწერენ პრაქტიკის ანგარიშს).

შენიშვნა:

შეფასების წესი, ელექტრონული პორტფოლიოს წარმოება, ფორმები, კომპონენტები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში.

დასაქმების სფერო

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი
- მოსწავლეთა მოსამზადებელი ცენტრები;
- პედაგოგთა გადამზადების ცენტრები;
- საგანამანათლებლო რესურსცენტრები;

- განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში შესაბამის ან მომიჯნავე სპეციალობაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება თბილისის თავისუფალი აკადემიის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

შენიშვნა: ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში.

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისა და განხორციელებისათვის, ამასთანავე სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება აკადემიაში არსებული სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასი, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ინვენტარი, თანამედროვე ტექნოლოგიებით და პროგრამის სასწავლო კურსების რელევანტური სავალდებულო ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები, შიდა ქსელი და ინტერნეტი, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა, რაც შეუზღუდავად ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტებთან, ისე აკადემიურ პერსონალთან ურთიერთობებისათვის.

პრაქტიკის კომპონენტის განხორცილების მიზნით სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან პარტნიორ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) სტრუქტურა

	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტი	სათი	ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	ჩაშენებული პრაქტიკა	პრაქტიკა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	საკონტაქტო სათები	დამოუკიდებელი მუშაობა	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით		წინაპირობა
													I	II	
ზოგადი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სასწავლო კურსები															
1.	სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა	LPLM11	4	100	15	20			2	3	40	60	X		წინაპირობის გარეშე
2.	ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები	INCE11	3	75	15	15			2	3	35	40	X		წინაპირობის გარეშე
3.	განვითარების ფსიქოლოგია	PSTH11	4	100	15	20			2	3	40	60	X		წინაპირობის გარეშე

4.	განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები	EDUL11	3	75	15	15			2	3	35	40	X		წინაპირობის გარეშე
5.	საკლასო შეფასება	CLASSA21	5	125	15	30			2	3	50	75		X	წინაპირობის გარეშე
6.	პედაგოგიური კვლევა	PEDR21	3	75	15	15			2	3	35	40		X	ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები; განვითარების ფსიქოლოგია
7.	დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარება მოსწავლეებში	DEMC21	3	75	15	15			2	3	35	40		X	განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები
	სულ		**25**	**650**	**105**	**140**			**14**	**21**	**300**	**345**			

10.	ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასება	GEOS11	6 (5+1)	150	30	30	10		2	3	75	75	X		წინაპირობის გარეშე
11.	ინტერკულტურული უნარების განვითარება ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე	INTERS21	3	75	15	15			2	3	35	40		X	წინაპირობის გარეშე
12.	რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას	GEOIT21	5 (4+1)	125	20	24	10		2	3	59	66		X	წინაპირობის გარეშე
13.	ტექსტზე მუშაობის მეთოდები	TEXTW21	3	75	15	15			2	3	35	40		X	ენობრივი სისტემის ასპექტები (ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე)
	სულ		**27**	**575**	**125**	**144**			**12**	**18**	**319**	**356**			
							სასკოლო პრაქტიკა								
14	პედაგოგიური პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი	PRAC21	8	200						6	90	104		X	პირველი სემესტრის ყველა სასწავლო კურსი

	სულ		60	1425	230	284	20		26	45	709	805			